

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწვერითა თვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

კომუნისტური განათების კლასიკა

გერმანიის უძლიერეს პარტიამ, ე. წ. დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატებმა, თავის უკანასკნელ ყრილობაზე გადასწყვიტა დიდი უმრავლესობით, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალში შესვლა. ხანგრძლივი ყოყმანის და რყევის შემდეგ ხანგრძლივი შინაგან ბრძოლის შემდეგ, გერმანიის დამოუკიდებელთა პარტიამ გადაჭრით შეადგა ფენი პროლეტარული რევოლუციის გზაზე, რომელსაც დიქტატურით და საბჭოთა სისტემით მივყავართ სოციალიზმ-კომუნისმისაკენ. ამიერიდან კომუნისმს ეყოლება უძლიერესი ლაშქარი გერმანიაში. დამოუკიდებელთა პარტიაში იხვედებოდა მილიონი მუშა-წყვირი. დიდი უმეტესობა, ე. ი. არა ნაკლებ 700 ათასისა, დღეიდან კომუნისტური ინტერნაციონალის პლათფორმას ღებულობს, მათი გაერთიანება გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში ახლო დღეების და ვიწროების საკითხია. ამ რიგით გერმანიაში კომუნისმის ჯარში იქნება არა ნაკლებ 300 ათასი საუკეთესო, მაღალ კულტურულ დონეზე მდგომი და რევოლუციური ენერჯის წევრი. და ამ ჯარის ზრდა როგორც რიცხვით, ისე პოლიტიკურად გახალსებული ნაბიჯით გაეკატევა წინ.

მაგრამ დამოუკიდებელთა ყრილობა სხვა მხრივაც გააძაგრა კომუნისმის პოლიტიკური გერმანიაში. პარტიის გამოეთიშა ოპორტუნისტული, რევოლუციონისტების დიდი ხნის წინააღმდეგობით დაკარგული ნაწილი. დიქტატურის და კრიტიკის მეთაურობით. მათი ჩამოშორება მხოლოდ სარგებლობას მოუტანს პარტიას, რომელიც დღეს გაწმენილია მოძრაობის გამარჯვებულ ელემენტებისაგან, და ამიტომ მისი ორგანიზაციის გასაღვივება, მასში რკინის დისციპლინის განმტკიცება ადვილი ხდება. ეს კი აუცილებელი პირობაა კომუნისტური ინტერნაციონალის ახალ რაზმისათვის; საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის პარტია საშედეგო წესით უნდა მოეწყოს—ამაშია მისი გამარჯვების საიდუმლოება, და ექვი არ არის იმაში, რომ გერმანიის რევოლუციონური მუშათა კლასი, ბუნებრივად სასტიკი დისციპლინის მცნობი და მორჩილი ბევრ რასმეს ისწავლებს ამ მხრივ რუსეთის გაფლანგულ კომუნისტურ პარტიისაგან, მათი თავის მხრივაც ბევრ ახალს ასწავლის მას. ამიერიდან, რუსეთის და გერმანიის მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილების გაერთიანების შემდეგ, კომუნისტური ინტერნაციონალის საბოლოო გამარჯვება სრულიად უზრუნველყოფილია. ინგლისის მუშათა კლასის ამოძრავებით თავდება წინასწარი მოსამზადებელი პროცესი მსოფლიო რევოლუციისა და საბჭოეთში. აღმოსავლეთი ფენებზე დასაყრდენი იმართება. მალე გავარდება მსოფლიო რევოლუციის მეხტი.

მედიკალი-ფარმაცეუტიკა

მრავალ შეუსაბამობათა შორის, რომელითაც საფუძველს თანამედროვე ცხოვრებას, აღსანიშნავია ქართულ პოლიტიკურ პარტიათა, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებულ სოციალისტურ პარტიათა ურთიერთობა. მენშევიკები, ფედერალისტები და ესერები—ეს სამი სოციალისტური პარტია განცალკევებული არსებობენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთმანეთში, სადავო და გასაყფო ადარა აქვთ. მათ ერთ დროს კოალიციური მთავრობა

ქონდათ შედგენილი და ამ გაერთიანებულ კაბინეტში ისინი წარმოდგენილი იყვნენ ქართულ ერზე თავი-თავის გაყენების შესაფერაოდ. მართალია, ამ სოციალისტებთან ერთად ეროვნული დემოკრატებიც იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო შემდეგ მთელი კაბინეტი მარტო მენშევიკებმა დაიკავეს, მაგრამ ასეთი „გადატრიალება“ არავითარი შესაძლებელი აღუჩნდა არც გამოუწვევია ატსტავებაში გამოსულ სოციალისტთა შორის. ისინი ადვილად შეურიგდნენ თავის უბოტელობს და გაბატონებულ მენშევიკურ პარტიას მხარს უჭერდნენ არა შიშით და კრძალვით, არამედ სინდისით და მეგობრობით.

ყოველ საყურადღებო და ყოველ უმნიშვნელო საკითხში ეს პარტიები შეხმარებულნი მოქმედებდნენ და მინც განცალკევებულთა არსებობენ. იქნება არსებობს რამე პროგრამული განსხვავება მათ შორის, იქნება მათ შეერთებას ხელს უშლის მათი საერთო მსოფლმხედველობის სხვადასხვაობა?

პროგრამა და მსოფლმხედველობა ერთ დროს მართლაც სხვადასხვანაირი ქონდათ ამ პარტიებში. მენშევიკები და ფედერალისტები ცხარე კამათს და ბრძოლას აწარმოებდნენ ერთი-მეორის წინააღმდეგ. მენშევიკები მამის კლასობრივ ნიადაგზე იდგნენ, ხოლო ფედერალისტები ეროვნულ ინტერესებს აყენებდნენ წინ. მენშევიკები აღნიშნავდნენ, რომ ამ ორი პარტიის ბრძოლის ძირითადი მიზეზია არა უთანხმოება ეროვნული ინტერესების გამო, არამედ ის გაერთიანება, რომ ეს პარტიები გამოხატვენ სხვა და სხვა კლასების ინტერესებს და რომ შესაძლებელი შეიქმნეს ფედერალისტების ეროვნული იდეალის განხორციელება, ბრძოლა ამ მოპირდაპირეთა შორის არამით არ მოისპობა, არამედ უფრო მეტი სიმწვავით და საძლიერით იწარმოებს.

ასე ფიქრობდნენ მაშინ, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა დაგვიანება. ისტორიამ გვჩვენებდა დასცინა ორივე პარტიას და ფეშქაშათ მართვა ის, რაზედაც წინათ ოცნებაც კი ვერ გაებდნათ. მენშევიკებმა ხელიდან წაგლიჯეს ფედერალისტებს ეროვნული პროგრამა და წარმუხურებათ მიაშურეს ისეთ საქმეს, რომლის კეთება მათ წინათ მოაკვდინებულ ცოცხათ მიაჩნდათ; ფედერალისტები კი გარეშე მაყურებლათ აღარ მიუშვეს. წინააღმდეგ მენშევიკების წინასწარმეტყველებისა მათ შორის არ გამოწვევულა ბრძოლა, და პირიქით ყოველივე ნასახი თვით თეორიული კამათისა ამიერიდან მოისპო.

მენშევიკებმა უარყვეს თავისი ძველი პროგრამა და რაღა აქვთ სადავო ფედერალისტებთან. მაგრამ ამასთანავე ფედერალისტებსაც შეუსრულდათ ფაქტურათ თავისი პროგრამა—შეასიმუმი და რაღა აზრი აქვს მათ არსებობას საერთოთ და განცალკევებულთა არსებობას კერძოთ.

ეტყობა, ფედერალისტები გრძობენ თავის უფერულობას და აქა—იქ, სინდისის გასაწმენდათ, ცდილობენ დაასაბუთონ თავისი ახირებული მდგომარეობა. მათ ევროპის დღევანდელი მდგომარეობა იჩივებს მენშევიკებზე—მიწის სოციალიზაცია არ განახორციელესო. მაგრამ ეს არ მიიჩნევენ საკმაო საბუთათ და დაუბატეს—მენშევიკები არ არიან აბსოლუტური დამცველები საქართველოს დამოუკიდებლობის, გვემინია, ზურგი არ შეაქციონ ჩვენს ეროვნულ თავისუფლებას, და ამიტომ ვდგევართ ცალკე და არ ვერთდებით მათო.

პროგრამული სხვა და სხვაობა არ შეიძლება ჩაითვალოს ამ პარტიების გაერთიანების და მიუკარებლობის მიზეზათ. თუ მენშევიკებმა არ დაიბოცეს თავები იმის გამო, რომ თავისი ბუნრიკაბილიზაცია არ განახორციელეს, არც ფედერალისტები კვდებიან იმის დარდათ, რომ მათი სოციალიზაცია მათ კანენტს არა სცილებდა. რაც შეეხება საერთო მსოფლმხედველობას, თუ ასეთი ოდესმე შექონიათ მათ, დღეს ირივე ეს პარტია მშვენიერათ მიდის იოლათ წვილი-ბურქუხიული ჩხირკედლობით და თავს არ იმჩინებს არავითარი სამოფლიო საკითხებით.

ორივე ეს პარტია წვილი-ბურქუხიული პარტია თავისი არსებით, ორივეს მსახრდობელი ერთად იგივე წვილი-ბურქუხიული კლასია. თუმცა შესაძლოა ისინი თავის გარშემო იკრებდნენ ამ გვარინათ აქრებულთა კლასის სხვა და სხვა წრეებს და ნაწილებს. როგორც უნდა იყოს საქმე, პოლიტიკურათ და სოციალურად ფედერალისტებს არასოდეს არა ხვდება იმაზე მეტი როლი, რომელიც უკვე შეასრულეს მენშევიკებმა. ამ უკანასკნელთა მეშვეობით ვერასოდეს ვერ შეიქმნებიან ფედერალისტები, რამდენ ხანსაც უნდა უდარჯონ მათ წაფერხილებას. პირიქით, მენშევიკების გავრცობა გაცილებით უფრო ადრე წარბოცავს ფედერალისტების მნიშვნელობას და მათ სრულ არარაობათ აქცევს.

ყოველივე ამის შემდეგ სრულიათ ბუნებრივად იქნებოდა, რომ მენშევიკებს თავის პარტიაში მიეღოთ ფედერალისტები და ფედერალისტებიც მთელი თავისი პარტიით გადაბარგულყვენ ამ მათთვის ოდესღაც მოქმედი და დღეს კი მეგობრულ პარტია-ორგანიზაციაში. ამით საქართველოს მშრომელი ხალხი არაფერს დაკარგავდა, რადგან უკეთ გაეკვივდა ორივე ამ პარტიის როგორც წარსულს, ისე დღევანდელ მოქმედებაში.

ადგილობრივი პრესა.

არც ანარქია, არც ომი, არც კრახი. გაზეთმა „საქართველომ“ კითხვა დააყენა, თუ რა გზას აირჩევს მენშევიკური მთავრობა იმ კრახიდან გამოსასვლელათ, რომელსაც ომი, მისივე ცნობით, უკვე მიაღება. მან აღნიშნა ორი შესაძლებელი გზა: „ან ევროპიული, ბურქუხიული დემოკრატიული გზა, ან რუსული, პროლეტარულ-ბალშევიკური.“ გაზეთ „ერთობას“, ეტყობა, არაფრათ ექანეკა კითხვის ასე ნათლათ დაყენება და კვლავ მიუქეცილი ცდილობს ბურქუხიულ მენშევის, რომ მათ გასაქირს თავი დააძვიროს. ის სწერს:

„საქართველომ“ კარგათ იცის, რომ ბალშევიკური ანარქიის გზა ჩვენთვის მიუღებელია, და სიხარულით მივიღებთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა დღეს არა ხვალ უნდა დაადგეს იმ გზას, რომელზედაც მუდამ მიუთითებდნენ „საქართველოს“ სულის ჩამდგმელები და რომელსაც ისინი უწოდებდნენ „ბურქუხიულ-დემოკრატიულს“ რა გზაა ეს გზა? „საქართველომ“ მიერ ნაჩვენები რეცეპტი, რომელიც მის სულის ჩამდგმელებს უცხოელი, „დიდმა პატრიოტებმა“ და „მაღალმა გონებმა“ უკარნახათ, მდგომარეობს „თავისუფალი კონკურენციის და კეძო ინიციატივის“ განმტკიცებაში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ პრინციპზე ყო აცებულ მთელი პოლიტიკა მე-19 საუკუნის დასაწყისი ევროპისა და ჩვენ ვიცით, რომ ამ პოლიტიკამ იგი მიიყვანა უსაშინელეს ომამდე, რომელმაც მსხვერპ-

ლათ შეიწირა 70 მილიონი სიცოცხლე და საუკუნოებით დაგროვილი ავღა-დიდების ნახევარი.“ გამოდის, რომ „ერთობას“ ბალშევიკური გზა არ მოსწონს, რადგან ის თურმე ანარქიის იწვევს, ბურქუხიული გზაც არ მოსწონს, რადგან იგი სისხლის მღვრელ ომს იწვევს, ხოლო მენშევიკურმა გზამ უკვე მიიყვანა საქართველო კრახამდის. მაშ რომელ გზას არჩევს „ერთობა“? არცერთს. მუდამ მესამე გზის მოტრფივალე „ერთობა“ ალბათ ამ ჭამათ მეოთხე გზას გამოინახავს.

დიდი საზრუნავი: რკინის გზის მუშა ღონისძიებურობა მენშევიკური გაზეთი „რკინისგული“ მუშამოსამსახ. მდგომარეობაზე შემდეგ სწერს: „მუშათა ეკონომიური მდგომარეობა თან და თან უარესდება. უკანასკნელმა მომატებამ სრულიათ გაანადგავა და გააჩანავა მუშების ბიუჯეტი.“

სამუშაოთ მუშებს მოემატათ 60—70 პროც. ბაზარზე კი ფასი ყველაფერზე აიწია 200—250 პროცენტით. ამ მომატებამ მუშებს ჯიბიდან ამოართო ისიც, რაც მათ ქონდათ წინათ, ბაზარზე გამოატანა გასასყიდათ უკანასკნელი ტანსაცმლის და ფეხსაცმელი.

ზამთარი დგება. კარზე გვადგია სიმშლი, სიცივე. არაა ნათი, არაა შეშა, ნახშირი. მუშების უნუგეშო მდგომარეობა იწვევს წარმოების ნაყოფიერების დაკლებას, ქვეყნის ეკონომიურათ განადგურებას.

მეორე მწვერვალე მუშას არ შეუძლია არაფრის შექმნა. ის ინვალიდათ იქცევა. და თუ დროზე არ იქმნა მიღებულ საჭირო ზომები, ჩვენი მდგომარეობა მეტათ საშიშია. საჭიროა დაუყოვნებლოდ ამოქმედდენ, ამუშავდენ მომარაგების სამინისტრო, მუშათა მაგიათ, თვითმმართველობანი, კოოპერატივები.

მათი უმთავრესი საზრუნავი საგანი უნდა იყოს—სურსათი, პირველ მოთხოვნილებათა სავნები. არ ქმარა მარტო ღამათ სიტყვები. დროა გადიდვას პრაქტიკული ნაბიჯები და საჩქაროთ მომარაგებულ იქმნას მუშებისათვის პური, შეშა, ნავთი, ნახშირი, შაქარი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი...

ჩვენ არ გვშველის ჯამაგირების მომატება. მუშებს უნდა მიეცეთ საჭირო სავნები. იქნება მომატება ნატურით. ზოგიერთი კავშირებში გამოითქვა აზრი მიეცეს მუშებს 5 თუ 10 ათასი მანეთი შვშის შესაძენათ.

ეს შეხედულობა ვერაა სწორი. და 10 ათასი მანეთი ქრილობაზე მალე-მალე ვერ მოსცხებს ვერავის. ამ ერთდროულ დახმარებას აუცილებლათ მიუყვება ფასების ყველაფერზე ერთი ათად გადიდება.

და ის ათი ათასი მანეთი, რომელსაც ზოგიერთი კავშირები მოითხოვენ, ბოლოს არარათ იქცევა. საჭიროა თვით მთავრობამ და მუშათა მაგიათ ყველა ცოცხალ ძალეების დახმარებით შეიძინონ ის, რაც საჭიროა მუშათა კლასისთვის. და ნახევრათ, მეოთხედათ მინც დააკმაყოფილონ მუშები.

ამაზე უფრო დიდი საზრუნავი საქმე დღეს ჩვენ არ გვაქვს. საეჭვოა, რომ ასეთი „ზრუნვიდან“ ოდნავ მინც გაუშვამსდეს მუშათა მდგომარეობა.

საბჭოთა რუსეთის პრესა.

რევოლუციონური კრიზისი იტალიაში

ყოველ დღე მოგვდის სულ ახალ ახალი ცნობები იტალიის რევოლუციონური მოძრაობის თავისებურ მსვლელობაზე. როგორც სჩანს კრიზისის დასაწყისი არის ლოკალური, რომელიც გამოცხადებულია მეტალურგიულ ქარხნების მფლობელთა მიერ. მათ და საპასუხოთ მუშებმ დაიწყეს ქარხნების ხელში ჩაგდება და წითელი დროშების აღმართვა და დაიწყეს როგორც ერთი დემეშა ამპონს „კომუნისტური მუშათა“. მთავრობას ამკარაა არ აქვს საკმარისი ძალა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგობის გასაწყვით. მოხერხებულმა და გაიმყვრა იტალიელი მინისტრების მეთაურმა დელიორტიმ გამოაფინა ლოკალური: „ქაპიტალისტური სოციალიზმისა“ ანუ „სოციალისტური კაპიტალიზმისა“ მუშათა მოსატყუებლათ, მისი ანგარიში აქ სულ უბრალოა: სურთ დაქმნენ მუშები გავრცელებული ბრძოლით, ჩააქრონ მათში რევოლუციონური ალტერნატივა, და ამით აჩვენონ, რომ განცალკევებული გამოსვლებით საქმეს ვერ გადასწყვეტენ.

ტალა რევოლუციონური მოძრაობის არასოდეს არ ასულა იტალიაში ისე მაღლა როგორც ეხლა. თუმც მინისტრთა ანალოგიური მოვლენები ჩვენ უკვე ვიხილეთ. ამხანაგი სერვატი თავის მოხსენებაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ლაპარაკობდა პროლეტარიატის მიერ ქარხნების ხელში ჩაგდებაზე. როდესაც ამოიღებინ ხნის მუშათა მუშების შემდეგ თვით ეს პროლეტარები რწმუნდებოდნენ, რომ მათ არ შეუძლიათ თავიანთი დაკმაყოფილება კი. ეს მოვლენა გასაგებია ვინაიდან მთავარი სიმარგე ბურჟუაზიისა?—მისი სახელმწიფო, მისი ბანკები, მისი ოქრო, მისი ფინანსები საერთოდ არჩება მის ხელში და ამიტომაც შეუძლებელია ყოველ ხანგრძლივი „კომუნისტური მუშათა“ მიუხედავათ ამისა ამ შემთხვევაში საქმე არ ჩერდება ორი კვირის ექსპერიმენტის საფეხურზე. მოძრაობა ფართოთ მოედვა მუშათა მასსებს და როგორც ერთი რადიო-ტელეგრაფითავე ამბობს: „დალოცვით ეკონომიური ხაზი და გადასულა პოლიტიკურზე“ ეს ასეც უნდა მომხდარიყო და აუცილებლათ მოხდებოდა, იმ მძლავრ და ძლიერ ბრძოლის დროს, რომელსაც ეხლა ეწევა მუშათა კლასი. ის მოჩვენებითი და ფარისევლური „ნეიტრალიტეტი ბურჟუაზიული მთავრობის კი აისხნება მისი მოუმხადებლობით მოვლენებთან და უნდობლობით ყველა ძალათა შესაქრებათ პროლეტარიატის საწინააღმდეგოთ. ის „ტუბილი“ და მშვიდობიანი“ ხასიათი, რომელიც ამდენ ხანს ოფიციალური ცნობების მიხედვით ააშკარავდა ბრძოლის მიმორბედი და შემადრწმუნებელი დაწყნარება ქარხნების წინ, რომელიც უკვე იწყებს ხმაურობას ხის წვეროვებზე, იტალიის პროლეტარიატისათვის აუცილებელია, რაც შეიძლება მალე შეგნება მისი, რომ საჭიროა გენერალური შეტევა, მთავარი ბურჟუაზიული სიმარგის დასამზობათ და პროლეტარიატის ძალა უფლებების მოსაპოვებლად. რაც უფრო არა გამოედევია ბურჟუაზიის მთავრობა, რაც უფრო ნაკლებ მომხადებელია ის საწინააღმდეგოდ, მით უფრო მეტი გამარჯვების შანსები იქნება პროლეტარიატის მხარეზე, და მით უფრო აუცილებელია აქტიურ ბრძოლის წარმოება ყველა ფრონტებზე ამ ბრძოლისაკენ





ადგილებზე, ქალაქებში მისიას ჩი-  
ნელები ზემოთ ხედვებოლენ და ნადიმს  
შეართავენ. გზაში მისიას საპატრო  
დაარაგები ახლდენ. როდესაც მისია რი  
მელომე დიდ ქალაქში მივიდოდა, მის  
ინახულებდა სხვა ქვეყნის მისი-  
ების წარმომადგენლები, საზოგა-  
დო არგანიზაციების წარმომადგენლე-  
ბი და განუთების თანამშრომლები. გან-  
საკუთრებული ყურადღება მიჰქცია ამუ  
რის მისიას პეკინის პრესამ.

**უელსთან ბაასი.**

რეველი, 8 ოქტომბერი. ინგლისის  
კომილმა მწერალმა უელსმა „პრავ  
დის“ თანამშრომელთან ბაასში სთქვა:  
„ლონდონში კამეჩემა საარაკო ზედ-  
გველენა მოახდინა. თავისი განგებინაო-  
ბით მან ყველა მოინადირა.“

გი იძულებული შეიქნა გასულიყო  
ბრიტან, რომ მოსალოდნელ გაფიცების  
წინ ლილდ ჯორჯს ეგ ოინები ესაქიროე  
ბოდა. კამეჩევი შინაურმა უთანხმოებამ  
შეიწირა. ლილდ-ჯორჯისთვის საჭირო  
ყო მუშათა პარტიის სახელის გატება  
ბალხის თვალში და მან მოიგონა ზღაპრ-  
ბი ბალშევიკურ ოქროზე, ძვირფას თვლე-  
ბით ვაჭრობაზე, კამეჩევის იონებზე, და  
უნდა ვლიაროთ, რომ მან, ჯორჯმა თავის  
მზახს მიადრწია. გარნა, თქვა უელსმა,  
ყოველივე ეს დროებითაა. ჩვენი ინგლი-  
ის რეაქცია მხოლოდ ბაქია და მყვი-  
რალა; მას აკლია სიძლიერე.

ჩემთვის აშკარაა რომ რუსეთთან ზა-  
გი მალე შეიკრება, ვინაიდან ამას მიე-  
ლი მოითხოვს. თქვენ, რუსები, ვერ აფა-  
ხებთ საკმარისად „მოქმედების საბჭოს“,  
ქვეყნ ვერ წარმოადგენიათ, თუ რა  
დიდ ძალას წარმოადგენს იგი.“

**მომარაგების ანგარიშები**

მოსკოვი, 15 ოქტ. წლის დასაწყისი-  
დან უნორმო სანოვანზე 2,145,999 ფუთი  
დააზადეს. უმეტესათ დაზადებულია  
ილეულობა—1,864,390 ფუთი.

**ლენინის ბიოგრაფია ოსმალურ  
ენაზე**

ტრაპიზონი, 17 ოქტომბ. ოსმალეთი  
ახ. „ისკაბალი“ ლენინის ბიოგრაფიას  
ბედაეს.

**ახალი სოციალისტური პარტია.**  
სტამბოლი, ანგორაში დაარსდა ახა-  
ლი სოციალისტური პარტია, რომელმაც  
ამოსცა გაზეთი: „ენიგუნი“—(„ახალი  
კვიყანა“).

**გაზ. „ზოსფორი“, ამნისტიის  
შესახებ.**

სტამბოლი, 13 ოქტ. გაზ. „ზოსფო-  
რი“ გამოსთქვეს ამნისტიის საწყინად-  
დეგო აზრს და შემდეგ დასძინა: „იმის-  
თვის, რომ აღმოსავლეთში ზავის საქმე  
ტკივე ნიადაგზე დადგეს, საჭიროა  
წერების, ქემალების და მთავარების  
ოსპობა.“

**მოსავლის რეალიზაცია.**

პეტერბურგი, 8 ოქტ. პეტერბურგის  
გუბერნიოში შეუდგენ მოსავლის რეა-  
ლიზაციას. უპირველეს ყოვლისა ამცნეს  
საზოგადოებას, რომ საჭირო იყო ზედ-  
ტეტი საქონლის საერთო სახელმწიფო-  
ბრივ ნაწყობში შენახვა.

პეტერბურგის გუბერნიოში საოჯახო  
უნდისთვის უნდა შეგროვილიყო პუ-  
ლის მარცვლი 850 ათასი ფუთი, მაგ-  
ნიმ გუბერნიის სასურხათო კომიტეტმა,  
რომ თავიდან იქნას აცილებული სპეკუ-  
ლიაცია, ეს რიცხვი გადაიდა ორ მი-  
ლიონამდის. ქართოფილი შეგროვილი  
ქნება 12 მილიონი ფუთი, ამ რიცხვი-  
დან ორი მესამედი ფუთი, სათესლე  
საჭიროებისათვის იქნება გადაღებული.

**ფაბრიკების ამუშავება.**

მოსკოვი, 12 ოქტ. 1 სექტემბერს და-  
წყო მუშაობა ქალაქის სამ ფაბრი-  
კაში—ვოლინის 1—კიევის და 1—ხარ-  
კოვის გუბერნიებში.

**ჩაქუჩი და ნამგალი**

ბერლინი, 5 ოქტ. გაზ. „დელი-გერო-  
ლის“ მილანელი (იტალია) კორესპონ-  
დენტი იტყობინება, რომ იტალიის მრავ-  
ალს ფაბრიკებზე აღმართულია საბჭო-  
თა რუსეთის ემბლემა—ნამგალის და ჩა-  
ქუჩის სახით.

**ქალაქის სიმცირე საფრანგეთში**

ბერლინი, 13 ოქტ. ფრანგულ ცეიტუ-  
ნგში საფრანგეთის განუთების გამოცე-  
ბით იტყობინება, რომ საფრანგეთის  
რეგის ზაზარზე დიდი კრიზისია ქალა-  
ქის სიძვირის გამო. საფრანგეთში წიგ-  
ნაწილების სავანათაა გადაქცეული.

განზრახულია წიგნის ბეჭდვის საქმე გო-  
ლანდიას გადაეცეს, რადგან წიგნების  
გამოცემა გოლანდიაში უფრო იაფად  
ჯდება, ვიდრე საფრანგეთში.

**საკონცენტრაციო ბანაკში.**

მოსკოვი, 10 ოქტ. გაზ. „პრავდაში“  
გერმანიაში გადასულ წითელ არმიელე-  
ბის შემდეგი ბარათია მოთავსებული:  
„უკვე სამი კვირაა, რაც საკონცენტრ-  
აციო ბანაკში ვსცხოვრობთ. ჩვენი „უზ-  
რუნველსაყოფათ“ ყოველ დღე ემატება  
ჩვენ ბანაკს რაიმე ახალი გერმანულ გა-  
მოგონებები: ხან მავთულების ახალი  
რავი გამოჩნდება ბანაკის ირგვლივ, ხან  
რამოდენიმე ტყვიის ფრქვეველს მორც-  
ხვთ მიმალავენ სადმე ბანაკის მახლობ-  
ლათ ან და ზარბაზნებს დადგენენ, რომ-  
ლებიც ბანაკისკენ არის მომართული.  
მთელი დღე და ღამე კანტიკუნტათ  
ისმის გერმანულ მოღარაჯეების თოფის  
სროლის ხმა.“

ისევრან ჰაერში და ესვრიან აგრეთვე  
წითელი არმიელებსაც.  
ორი კვირის განმავლობაში შემთხვევა  
იყო, რომ რამდენიმე წითელი არმიელი  
ბანაკის რაიონიდან გადასვლისთვის და-  
სტრეს თუ მოკლეს.

მშვირი წითელ-არმიელები იძულებულ-  
ნი არიან ბანაკის ახლო-მახლო ექიმბ  
რაიმე საკმელი, რადგან მთელი დღე  
ღამის განმავლობაში იძლევიან 20—30  
პატარა ნაჭერ „ბისკვიტებს“ ან და გირ-  
ვანქის მესამედ ნაწილ პურს. ზოგჯერ არის  
სუპი უზორკოთ, ზოგჯერ ისიც არ არის:  
ეს არის და ეს. იყიდება ყოველივე ი  
ნაყარ-ნუყარი ნივთები, რომელსაც აღ  
მოვაჩინებ სამზავარო ხალთაში ან და  
„პოვოკაზე“. მახლობელ ადგილებიდან  
და კენიგსბერგიდანაც ყოველ დღე მო-  
დიან სექულურიანტები, რომლებიც ჩაღის  
ფასად ყიდულობენ წითელ-არმიელები.  
სხად უქანასკნელ ივეჯს. ერთხელ ჩვენ  
მოგვპარეს კომისრები. მთელი ბანაკის  
სარდლები და კომისრები მიიწვიეს გე-  
ნერალთან „ყრილობაზე“. გამოყვეს ჩვე-  
ნები აქედან და ბანაკის მინდორზე სამ-  
ხედრო ვარჯიშობა დააწყებინეს გერმა-  
ნელ ოფიცერებმა წითელ არმიელების  
სარდლებს. მხოლოდ კომისრები დასტო-  
ვეს გენერალთან „სამუსაიფოთ“. სამ  
წუხაროთ „მუსაიფო“ არ მომხდარა. მო-  
ვივიდა სამი საბრგო ავტომობილი და  
გაძლიერებული ყარაული და ყველა კო-  
მისრები სასწრაფოთ წაიყვანეს სად-  
ლიც. მხოლოდ შოერე დღეს არა ოფი-  
ციალურად, შეიტყვეთ, რომ ისინი წაი-  
ყვანეს ციხე-ღმრტენში. რა დამებრთე-  
ბათ შით, არ ვიცი. მხოლოდ ეხლა ვე  
ღირსეთ მას, რომ ბანაკიდან ზოგი ვადა-  
ყავთ შუაგულ გერმანიაში. მაგრამ ძლიერ  
დაგვიანებით ხდება ეს გადაყვანა. გერმა-  
ნიის სარდლობა ყოველთვის თავს იმართ-  
ლებს იმით, რომ შით არ აქვთ საშუალება.  
უკვე ორი კვირაა, რაც ვითხოვთ, რომ  
ნება დავგროთ და წარმომადგენელი  
გავგზავნოთ ბერლინიში ანხ. კოპთან,  
შეგარამ ნებათვას ჯერ კიდევ ვერ ვე-  
ღირსეთ. გერმანელები გვეუბნებიან, რომ  
მით ანტანტიდან უნდა აიღონ თურემ  
ნებათვით მართალია ეს თუ არა არ  
ვიცი, მაგრამ ყოველდღე ეჩვენება, რომ  
„ანტანტის“ სისტემა, რომლის გავლე-  
ნის ქვეშ არის დღეს მთელი გერმანიის  
ცხოვრება, ნებას არ აძლევს გერმანიას  
ბიჯი გადასდგას ანტანტის კომისიის  
დაუდასტურებლათ, რომელიც აღრჩობს  
გერმანიას და გერმანელებს. გაზეთებს  
იწვიათად თუ ველებულობთ. ბერლი-  
ნის განუთებს თითქმის სულ არა. ვი-  
კვებებით „ჯარის კაცის მოამბის“  
ხმებით. ასეთია დაახლოვებით საკონცე-  
ნტრაციო ბანაკში მყოფ წითელ არმიე-  
ლების ცხოვრება, რაც „თეორიულათ“  
ტყვეების ცხოვრებაზე უკეთესი უნდა  
იყვეს, მაგრამ სინამდვილეში კი უფრო  
ცუდია. ენახოთ, მომავალი რას მოგვი-  
ტანს.“

**აფონ-ყარ-გისარის მიტინგი.**

ტრაპიზონი, 10 ოქტომბერი. აფონ-  
ყარა-გისარში მოაწყვეს მიტინგი, რომ  
მელსაც მთელი ქალაქის მცხოვრები დაე  
სწირო. მიტინგზე დაადგინეს ყველა წა-  
ვიდეს ფრონტზე სამშობლოს დასაცვე-  
ლად, გარდა ქალღმისა და მოხუცებისა.

**არმიის საჭიროებისათვის.**

სტამბოლი, 10 ოქტომბერი. გაზ.  
„პრესლიუ სუარის“ ცნობით მუსტაფა-  
ქემალმა მერხეფონში ჯარის სასარგებ-  
ლოთ შეაგროვა 100,000 ოსმალური  
გირვანგა სტერლინგი.

**ყუბანის წისკვილები.**

ყუბანში აღრიცხულია სულ 284 წის-  
კვილი, რომლებიც წლის განმავლობაში  
დაფქვევენ 67 მილიონ ფუთ ხორბალს.  
ამ რიცხვიდან სახელმწიფოს ხელში გა-  
დაღის 110 წისკვილი, რომლებიც დღე-  
ღამის განმავლობაში დაფქვევენ 126  
ათას ფუთ ხორბალს.  
სულ ამ წისკვილებზე დაფქვეს 2 მი-  
ლიონ ფუთამდის ხორბალი.

**ცხოვრების პირობები ესტონიაში.**

მოსკოვი, 12 ოქტ. ის ესტონელები,  
რომლებიც საბჭოთა რუსეთთან ესტო-  
ნეთში გადასახლდენ ზავის ჩამოგდების  
შემდეგ სთხოვენ ესტონეთში საბჭოთა  
წარმომადგენლობას, რათა ნება დარ-  
თონ მათ ისევე საბჭოთა რუსეთში გა-  
დასახლდენ. ამის მიზეზია ესტონიაში  
ცხოვრების პირობების სიძნელე, უმუშე-  
ვრობა, სიძვირე, ბინის უქონლობა სი-  
მცირე და სხვა. ზოგ მთხოვნელებს ნე-  
ბა დართეს ისევე რუსეთში წასასვლე-  
ლათ.

**რუსეთის დელეგაციის საკითხი**

**ტრედ-იუნინელების ყრილობაზე**

მოსკოვი, 15 ოქტ. ბრიტანიის მთავ-  
რობამ რუსეთის დელეგაციას ინგლისში  
შესვლის ნება არ დართო. ამ ამბავმა  
ტრედ-იუნინელების უქანასკნელ ყრილობა-  
ზე საინტერესო კამათი გამოიწვია. ამ  
საკითხზე პირველათ გამოვიდა ანხ. რო-  
ბერტ ველამისი, რომელიც ამ რეზოლიუცი-  
ის ავტორია, რომელშიც სხვათა შო-  
რის სწერია: „ყრილობას ვერ წარმოუდ-  
გენია, რისთვის ღებულობენ ფართო  
სტუმართ მოყვარებით რუსეთის დიდე-  
ბულ გვამებს, ყოფილ მემამულეებს და  
კაპიტალისტებს, როდესაც რუსეთის მე-  
შათა წარმომადგენლებს ბრიტანიის  
მიწაზე ფეხის დადგმის უფლებას არ აძ-  
ლენენ. ვილიამსმა თქვა, რომ იმ დროს,  
როდესაც რუსეთის პროფესიონალურ  
კავშირების წარმომადგენლებს პირობას  
აძლენებენ, რომ არ გასწიონ ინგლისში  
პროპაგანდა, ასეთ ხელწერილს არავინ  
თხოვს იმ ემიგრანტებს, რომლებიც რუ-  
სეთიდან მობრბან ინგლისში და ჩერჩილს  
რუსეთის კონტრ-რევოლუციისათვის  
დასახმარებლათ ყოველგვარ საშუალე-  
ბებს თხოვენ.“

უფრო დიდათ და წარმატებით იმა-  
ლებს ხალხის თვალში საბჭოთა რუსეთის  
რუსეთის დელეგაციისთვის ინგლისში  
შესვლის აკრძალვა, ვიდრე ამას პროპა-  
განდა მიადწევდა. რუსეთის პროფესიო-  
ნალურ კავშირების წარმომადგენლებს  
ქრისტიანიაში ყოფნის დროს სხვა და  
სხვა პროფესიონალური კავშირებიდან  
40 მეტი თანაგრძობის ტელეგრაფები  
მოუვლიდა. ბენტორენმა, რომელიც უთა-  
ნაუგრძობს მმართველობის საბჭოთა  
ფორმებს, თავისი სიტყვები აღნიშნა:  
„მთავრობას ეშინია, რომ ხალხი, გა-  
ეცნოს საბჭოთა რუსეთს, სინამდვილე  
გაიგოს მის შესახებ. იგი მთელი თვე-  
ების განმავლობაში არ რთავდა ნებას  
პროფესიონალურ კავშირების წარმო-  
მადგენლებს რუსეთში წასვლაზე. ჩემს  
ახალგაზრდობის დროს მე ვამაყობდი  
იმით, რომ ბრიტანეთი მთელს ქვეყა-  
ნაზე ფრიად თავისუფალი მხარეთ მქონ-  
და წარმოდგენილი, მაგრამ ახლა ლო-  
იდ-ჯორჯი და ჩერჩილი უბრალო მუ-  
შებს უქანასკნელ ჩვენში მოსვლას.“

ვილიამისი რეზოლიუციის ყველაზე უფ-  
რო შეურიგებელ მოწინააღმდეგეთ ხვე-  
ლოკ ვილსონი გამოვიდა, რომელიც ამ-  
ტყვიებდა, რომ რაკი ინგლისის მთავ-  
რობა საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან  
მტრულ განწყობილებაშია, საჭიროა, არ  
მივილოთ საბჭოთა რუსეთის დელეგა-  
ციათ. მისი ლაპარაკის დროს უთანხმო-  
ების ნიშნათ სტვენით და ხმაურობით  
უშლიდენ მას ხელს. ვილსონის საპასუ-  
ხით გამოვიდა მთამდებში მომუშავე-  
თა ხელმძღვანელი სპალი.

შემდეგ სიტყვა აიღო ტომლანმა, რო-  
მელმაც თავის სიტყვაში სხვათაშორის  
შემდეგი სთქვა.  
„ნამდვილი არსებითი პრობლემა,—  
ეს მრეწველობის მუშათა სასარგებლოთ  
მოწყობის პრობლემაა. რუსეთის ხალ-  
ხმა ხელთ აიღო ამ პრობლემის გადაწყ-  
ვება და მის გადაწყვეტის საქმეში,  
სასწაულებრივ ნიქს იქნენ. ინგლისელებ-  
მა ბევრი უნდა ისწავლონ მათგან. ამი-  
სთვის რუსეთის პროფესიონალურ კავ-  
შირების წარმომადგენლების მიღება ინ-  
გლისში აუცილებლათ საჭიროა.“

**ვილიამისი რეზოლიუცია ერთხმად მი-**

იღეს. წინააღმდეგი იყო მხოლოდ ერ-  
თი ხველოკ ვილსონი.

**საფრანგეთის შეთანხმება.**

რეველი, 5 ოქტომბერი. გაზ. „ფრეი  
ხეტი“ იტყობინება, რომ უნგრეთის პრე-  
საში გამოქვეყნებულია ხორტისა და სა-  
ფრანგეთის მთავრობის შორის დადებუ-  
ლი ცეკონომიური და სამხედრო ხელშეკ-  
რულების ტექსტი. უნგრეთის სახელმწი-  
ფოს კუთვნილი რკინის გზები 50 წლის  
განმავლობაში გადაღის საექსპლოატა-  
ციოთ საფრანგეთის საექციონერო კომ-  
პანიის ხელში, რომელიც უმთავრესათ  
შესდგება შნიდერისა და კრეზოს სა-  
ექციონერო ფირმისაგან. უნგრეთის მთა-  
ვრობამ პირობა დასდო, რომ 1921 წ.  
1 იანვრამდის ის გადაიდგმს სამზავრო  
მატარებლის ტარიფს ხუთჯერ და  
საბარგოსას კი 8 ჯერ. იმ შემთ-  
ხვევაში, თუ რომ უნგრეთის პარ-  
ლამენტი არ დაამტკიცებს ამ ხელშეკ-  
რულებას, მთავრობა პირობას იძლევა  
გარეკოს ეს ნაციონალური ყრილობა და  
განახორცილოს ეს ხელშეკრულება მთავ-  
რობის მორიგი განკარგულებით. ეს ხელ-  
შეკრულება უფლებას აძლევს უნგრეთის  
მთავრობას საყოველთაო, სამხედრო  
ვალდებულებისა, აგრეთვე მას უფლე-  
ბა აქვს ჯარში გაიწვიოს ის სათადარი-  
გო ჯარის კაცები, რომლებიც დაბადე-  
ბულნი არიან 1890—1900 წწამდის.  
საფრანგეთის მთავრობას უფლება აქვს  
კონტროლი გაუკეთოს უნგრეთის არმიის  
რაოდენობას. ამას გარდა საფრანგეთის  
მთავრობა პირდება უნგრეთს, რომ ის  
(საფრანგეთის მთავ.) გავლენას იხმარს  
ხალხთა ლიგაზე, რათა გადასინჯულ  
იქნას საზავო ხელშეკრულებით დაწე-  
სებული უნგრეთის საზღვრები. უნგრეთი  
ვალდებულია ამ პირობების მიხედვით  
შეადგინოს 100 ათასი კაცისაგან შემ-  
დგარი არმია. საფრანგეთი კი პირობას  
იძლევა ამ ჯარისთვის გაუზავნოს უნგ-  
რეთს ყოველივე საჭირო სამხედრო წყო-  
ბილება.

**ნედი მასალის დამზადება**

მოსკოვი, 15 ოქტ. ფიქრობენ, რომ  
ამ წელს დამზადებული იქნება 1 მილი-  
ონი ფუთი დაუშენდელი იქნება 236 ათასი  
ფუთი დაუშენილი მატყლი. ციმიარმა  
უნდა დამზადოს 172 ათასი ფუთი მატ-  
ყლი, რომლის 70 პროცენტი უნდა დაა-  
მზადოს ომსკის და ტომსკის გუბერნიებ-  
მა. ჩრდილოეთ კავკასიამ უნდა დაამ-  
ზადოს 35 ათასი ფუთი.

განზრახულია მსხვილი ოთხ ფეხ. სა-  
ქონლის ტყავი დამზადონ 460 ათასამ-  
დის, ამ რიცხვიდან მეტი ნაწილი უნდა  
დამზადოს ტომსკის გუბერნიამ. უნდა  
დამზადებულ იქნას აგრეთვე 1—3 მი-  
ლიონამდის ცხენის ლყავი—ცხვრის ტყა-  
ვი კი—4—6 მილიონი თავი.

**პენზის გუბერნიაში.**

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. პენზის  
გუბერნიოში 24 სექტემბრამდის და-  
მზადებულია 642 ათასი ფუთი პუ-  
რის ხორბალი, 75 ათასი ფუთი პუ-  
რის ფქვილი, ათი ათასი ფუთი ქარ-  
თოფილი. ამდენივე ზეთი და 357 ფუთი  
თავლი. ეს რიცხვი ორჯერ აღემატება  
იმ რიცხვს, როგორც იყო წარსულ  
წელს ამავე დროს განმავლობაში.

**პროფესიონალური შკოლები.**

კავკავი, 12 ოქტ. სახალხო განათლე  
ბის კომისარიატის განყოფილებასთან  
დაარსდა განყოფილება, რომლის მიზა-  
ნია თერგის ოლქში პროფესიონალურ  
კოდნის გავრცელება. საბჭო იმუშავებს  
პროექტს მთელი რიგი პროფესიონალურ  
შკოლების მოსაწყობათ.

**მუზეუმი კისლოვოდსკში.**

პატიგორსკი, 10 ოქტ. კისლოვოდ-  
სკში ეწყობა სოლოქო სამხატვრო ის-  
ტორიული მუზეუმი, რომლის უმთავრე-  
სი მიზანი იქნება სამხატვრო ღირებუ-  
ლების დაცვა მოვლა.

**შრომის ფრონტზე.**

მოსკოვი, 10 ოქტ. ორი მსხვილი ტა-  
ნისამოსის დამზადებელ ფაბრიკების—  
„მარის“ და ბუტირკის № 3 ფაბრი-  
კის მუშებმა გადასწყვეტეს გაადიდონ  
სამუშაო დღე 10 საათამდის.

**პარტიულ განუთისათვის ბრძოლა.**

ნაუენი, 21 ოქტ. (რადიო „ტაიმს“  
ნიუიორკში) გერმანიის დამოუკიდებელ  
ს. დ. პარ. უმცირესობას რეისტრაცი-  
ყავს 59 დეპუტატი, უმრავლესობას კი—  
22 დეპუტატი. უმცირესობა (დემანის

პარტია) თავის უფლებებს აცხადებს პა-  
რტიულ განუთ „ფრეიხეიტზე“, რადგან  
ის თანხა, რომლითაც განუთი გამოდიო-  
და, შეგროვილი იყო პარტიის ყოფილ-  
ლიდერის—დიტმანის მიერ. მაგრამ ცნო-  
ბილმა ეიხვორნმა აცნობა „ტაიმსის“  
კორესპონდენტს, რომ უმრავლესობას არა  
აქვს აზრათ ლედებურს დაუთმოს გაზ.  
„ფრეიხეიტ“, რადგან დამოუკიდებელ  
პარტიის ყველა წევრები იღებდენ თავის  
წვლილს პარტიულ განუთის სასარგებ-  
ლოთ.

**მემარცხენე დამოუკიდებლების გა-**

**ერთიანება კომუნისტებთან.**

ნაუენი, 21 ოქტ. მემარცხენე დამო-  
უკიდებლების გაერთიანება კომუნის-  
ტებთან მოხდება დეკემბერში. მემარც-  
ხენე დამოუკიდებლების განუთი „როტე-  
ფანე“ სწერს, რომ რეისტრაციას გაძლი-  
ერებულ კომუნისტურ ფრაქციას შეუ-  
ძლია პარლამენტის გარეშე შეგროვოს  
ერთი მილიონი მუშები.

**მუშების გამოყვების გაუმჯობე-**

**ლება.**

კავკავი, 20 ოქტ. ყოველი ზომებია  
მიღებული მუშების გამოყვების გაუმ-  
ჯობესებისათვის. ქალაქის განაპირა უბ-  
ნებში მოაწყვეს საზოგადო სასადილოები.

**დამოუკიდებლების ყრილობა ქ.**

**გალში (გერმანია)**

მოსკოვი, 20 ოქტ. გერმანიის დამო-  
უკიდებლების ყრილობაზე ქ. გალში დი-  
და უმრავლესობის მიერ მიღებულ იქნა  
მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების  
რეზოლიუცია. ყრილობის დელეგატებზე  
და დამსწრე მუშებზე დიდი გავლენა  
მოახდინა ანხ. ზინოვიევის სიტყვამ,  
რომელმაც ვაგრძელდა 4 საათი.

**ტრანსპორტის მუშების ყრილობა.**

მოსკოვი, 20 ოქტ. კავშირების სასახ-  
ლეში გაიხსნა ტრანსპორტის მუშების  
მეორე ყრილობა. პირველად მოისმინეს  
ანხ. ტომსკის მოხსენება საერთაშორისო  
პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ.  
მომხსენებელი შეეხო წითელ ინტერნა-  
ციონალურ პროფესიონალურ კავშირე-  
ბის საბჭოს დაარსების მომენტს. შემდეგ  
მოისმინეს კავშირის ცენტრალურ „კო-  
მიტეტის“ წევრის მოხსენება კავშირის  
მოქმედების შესახებ. მიღებულ იქნა  
რეზოლიუცია, რომელიც აწონებს ცენ-  
ტრალური კომიტეტის მოქმედებას.

**შვეიცარიის მთავრობა**

მოსკოვი, 20 ოქტ. შვეიცარიის მთავ-  
რობამ აუკრძალა რუსეთის პროფესიო-  
ნალურ კავშირების წარმომადგენლებს  
გერმანიიდან შვეიცარიაში შესვლა. მათ  
იტალიის მთავრობამ აუკრძალა იტალი-  
აში შესვლაც.

**ციმბირიდან.**

მოსკოვი, 20 ოქტ. არხანგელსკის სა-  
ზღვაო ექსპედიციამ ციმბირიდან არხან-  
გელსკში ჩამოიტანა საგარეო ვაჭრობი-  
სათვის 12 მილიონ მანეთათ ღირებული  
ბუნდლი.

**უპანასპალი სნოვპეი**

სამხ. ოპრატა. 20 ოქტომბრის რა-  
დიო-ცნობა რესპუბლიკის „რევე-  
ენსოვეტის“ საველე შტაბისა.

# საპარტიო კომუნისტურ ახალგაზრდობის

## ფურცელი

№ 9

### დაცავით ახალგაზრდა მუშების შრომას

ჩვენი კავშირის ცენტრალურ კომიტეტმა ამას წინათ გადასწყვიტა შექმნას ყველა ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციებში ეკონომიური განყოფილება როგორც გზისკადავით, საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირები იწყებენ ბრძოლას ისე, როგორც დასავლეთ ევროპის კომუნისტური ორგანიზაციები, ახალგაზრდა მუშათა და მუშა-კლასთა ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად, უპირველეს ყოვლისა 6 და 4 საათის სამუშაოს დღის შემოსაღებათ, როგორც ვიცით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას არაფერი არ გაუკეთებიათ, არამც თუ ახალგაზრდა მშრომლებისათვის, არამედ მოზრდილი მუშებისთვისაც კი. ახალგაზრდა იმყოფება იმ სინდროლის დიდ იმ რეჟიმის ქვეშ, რომელიც იყო იგი „ცხოველებული“ ნიკოლოზ მეორის დროს, მისთვის, არც დასვენება, არც განათლება, არც ერთი და არც მეორე. მართალია ამ მხრივ იქნებ გაუქმდეს ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ახალგაზრდობის ეკონომიურ პირობების გამაუმჯობესებელი კომისიის ბრძოლა, მაგრამ თვით ახალგაზრდა მუშების თანაგრძობა მის მხარეზე (ამას ამტკიცებს ის რომ ბევრი მათგანი—ჩვენ ორგანიზაციებში იყრიან თავს). მეორეც ის, რომ ჩვენმა უმუშროსმა ახალგაზრდებმა, მუშებმა უნდა ყურადღება მიაქციონ ჩვენს განზრახვას და გასწიონ ჩვენთან ერთად სმ უღელი.

ეკონომიური პირობების გამაუმჯობესებელი კომისია ამაზე დიდ იმედებს ამყარებს და იმედია გამარჯვებული გამოვა ბრძოლის ველზე, რითაც ახალგაზრდა მუშებს გაუღვდებინებს იმ მიმართულს წევს, რომელსაც ახლა ეწვეიან ისინი, მე ვეითხებები ესა ჩვენს ახალგაზრდა მუშებს; რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოვიპოვოთ ჩვენ 6 და 4 საათის სამუშაო დღე? მე ასე ვუპასუებ ამ შეკითხვას: რომ მოვიპოვოთ 6 და 4 საათის სამუშაო დღე და გავაუმჯობესოთ ჩვენი ეკონომიური პირობები, საჭიროა, რომ ჩავიწყოთ ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტურ კავშირში, საიდანაც ვაწარმოებთ ჩვენ, ახალგაზრდა მუშები, ბრძოლას ჩვენი ეკონომიური პირობების გამაუმჯობესებლად. მე, როგორც დაბნელებული ახალგაზრდა მუშა ვესალმები ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილებას, უსურვებ მას სრულ გამარჯვებას და მოუწოდებ მათე მშრომელ ახალგაზრდობას. შევავშირდნენ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის წითელი დროშის ქვეშ, გაუმარჯოს 6 და 4 საათის სამუშაო დღეს მშრომელი ახალგაზრდობისათვის!

**ახალგაზრდა მუშა გაიოზი.**

ახალგაზრდა მუშებო და მუშა ქალებო! ჩაეწერეთ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში, ეს არის სინათლე ცოდნისა; ეს არის სკოლა ბრძოლისა! ეს არის შემოქმედელი მომავლისა!

**ჩაგროლიუსია**

კავშირის მომავალ მუშაობაზე, მიღებული სოხუმის საოლქო კომიტეტის მიერ 2 ოქტომბრის 1920 წ. სხდომაზე.

იმჯგელა რა სოხუმის ოლქში კავშირის დღევანდელ მდგომარეობაზე და მუშაობის იმ დღეებზეზე დადებითი მხარეებზე, რომელნიც აღწერსა ც. პ. წევრმა, სოხუმის საოლქო კომიტეტი აღიარებს:

1. მუშაობა კავშირის ფარგლებში გასაღობებლათ შეიძლება დროებით შეწყვიტოს; ახლანდელი სინდრონი ცენტრში უნდა გადაიტანოს მოპოვებულ პოზიციების გასამარჯვებლათ, მტკიცე, მოძრაი, ნდობით დახმარებით აღჭურვილი სახელმძღვანელო ორგანიზაციის (დაწყებული იჩიერების პრეზიდენტიდან და გათავისუფლებული საოლქო კომ. შესაქმნელით, კომუნისტურ თვით მუშების გასაღობებლათ, დისციპლინის და ინიციატივის გასამტკიცებლათ, ამისათვის საჭიროა:

2. მუშაობა სწორად რაიონულ, სამხარო და ქალაქის კონფერენციებისა.

3. ზემა აღნიშნულ პროგრამის შესრულების შემდეგ მოწვევა საოლქო ყრილობისა, როგორც დავიერგვინება, საბოლოო განმტკიცება მთელი მუშაობისა.

4. მოწვევა პარტიასთან ერთობისა და ცენტრ. კომ. მკადრო კავშირის დაქობა.

5. ადგილობრივ ორგანიზაციებთან დამოკიდებულების საბოლოო მოგვარება.

6. თანდათან მაგრამ შეუჩერებელი აღზრდა მსგებში მოღვივებულ, სერიოზულ შეგნებულ მოპრობისათვის მოვალეობას თან, დისციპლინის, პასუხისმგებლობის გრძობის გავლენა.

II კულტურულ განმანათლებელ და სააგიტაციო პროპაგანდისტულ დარგში:

1. იქმნას მიღებული სასტრუქტურული წევრთა შორის წერაქითვის უცოდინარობის ამოსაფხვრელათ. ამისათვის: ა) წინიდადება მიეცეს იჩიერებს და ორგანიზაციებს, რომელთაც ყავთ წერაქითვის არა მკოდნე წევრები, დაწყებული სახანაო კურსები (სათანადო ინსტრუქციის გამოყენება მიერის საოლქო ცენტრ. კომიტეტი) ბ) დაველოოს კავშირის დისციპლინის წესრიგში გამოცემის დამუშავებით ყველა სწავლულ წევრებს იხორუნი თავია ჩამორჩენილ ახალგაზრდობისათვის. იქნას გამოუშვებულ შეკადნილობის გვერდს, გამოიხანოს ხელმძღვანელობით და აღიაროს ც. პ. წინაშე საკითხი საშკოლო ნივთების საყიდალათ საჭირო თანხის გაღებაზე.

2. იქმნას მოწყობილ-დალაგებული, სისტემატური შესწავლა რევოლუციური მარქსიზმისა, რომლის საუკეთესო გამომხატველს, პრაქტიკული განსახიერება და შემდეგი გამოყენება წარმოადგენს კომუნისში. ამ მიზნით უნდა შევიწყვილოთ ა) პროგრამა, ტაქტიკა და ისტორია რუს. კომ. პარტიისა; ბ) ისტორია, მიზნები და პრაქტიკა კომუნისტურ კავშირისა რუსეთში და დასავლეთ ევროპაში; გ) საბჭოთა აღმშენებლობის კითხვები; დ) ეკონომიური აგაროული და აღმოსავლეთის პოლიტიკა.

3. ეთხოვოს ც. პ. რომ მიაწოდოს ადგილობრივ ორგანიზაციებს დეტალურათ შემუშავებული გეგმა, ლიტერატურა და სხვა სააგიტაციო საშუალებანი, გამოგზავნოს შეძლების დავაგართ პროპაგანდისტები.

4. საკუთარ პროპაგანდისტ-აგიტატორების კადრის შესაქმნელად იქმნას მიღებული ყველა ზომები, კომ. პარტიასთან ერთად, პროპაგანდისტთა შკოლის, კულტურულ-სააგიტაციო კოლეჯის მოსაწყობათ ლექციების განსაზღვრულ მშრომით.

5. ყველგან, სადაც შესაძლებელია, გაიხსნას საკითხველო-წავნისცავები, რომელთაც აქვთ ძლიერ დიდი გამოღვიძებელი, გამაღვიძებელი მნიშვნელობა.

III ტაქტიკური სფეროში (ნაციონალურ საქათხში).

1. ორგანიზაციისა ზრდა პოლიტიკურ ხალხთა შორის სოლიდარობის სულისკვეთებაში, სასტიკათ უნდა ვებრძოლოთ ნაციონალისტურ შურისძიების გავლენებს.

2. გაგწიოთ გლეხთა მსგებში, ჩვენი ახალგაზრდობის ორგანიზაციაში არ შემოიქრას არა სასურველი ნაციონალისტური მოტივები და მიმართულებები, ენერგიული აგიტაცია ეროვნულ შუღლის წინააღმდეგ ერთნაირათ მიერ აუხანათის და ქართველ ხალხისთვის, მუდმივ აუხანათ მათ მათი ინტერესთა სრული სოლიდარობა და ერთნაირობა მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

\*) კავშირის წევრთა რიცხვი სომეხის ოლქში უდრის ათას კაცამდე. რედ.

\*\*) ეს უკვე სისრულეში მოყვანილია. რედ.

ახალგაზრდა მუშე! შენ არ მისცემ ნებას, რომ ჩაქვრეს ცისკარი კომუნისმისა, მამ შოდი ჩაეწერე ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირში.

### ისაზ იზაზ

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავს და ცხოვრებამაც დაგვიმტკიცა ის ქმნარტემა, რომ გაკორტებულ სოციალისტებს, ყოფილ მარქსისტებს, არ ძალუბთ იღუბო ბრძოლა, ჩვენს ახალგაზრდობთან. დაზინება, სისტემატური დენა, ციხე, აი მათი იარაღი კომუნისტური ახალგაზრდობის წინააღმდეგ.

იმ თვითნებობას, რომელსაც არ უნანს, საზღვარი, იმ პროვოკაციულ, ტყუილებზე აგებულ „მუშაობას“. ერთი მთავარი მათ მიზნათ დაუსახეთ მთლიათ განადგურება, მისამონ ახალგაზრდობის რევოლუციონერული მოძრაობა, მათი კავშირები.

თბილისში მყოფ ახალგაზრდა ამა თუ იმ მიზნით, ანუ უკეთ რომ ესთქვათ, სრულიად უმიზნოთ ვერაგულათ ესმინათ თავს, იქერენ—ატუსილებენ და აძეგებენ საქართველოს საზღვრებიდან ერთ კვირასაც არ გაუვლია ისეგ რომ „მთავარ ნეგელოზებს“ არ დაეჭიროთ ჩვენი ახალგაზრდა ლეგალური, აშკარა მუშაობა ბრკოლება და ვერხდება საუკეთესო წევრების დატუსაღებით, გამოგლეჯით. მათ სდევნით არა მარტო სოციალ-დემოკრატები არამც მათი ერთგულიც მებატონენიც, ვაჭრებ-საქუდიანტები. ამას წინათ ერთმა გმიდებულმა მუშამ მითხრა, რომ ქაზინის ვაჭრე არ მადღეს სამუშაო ფულს რომელიც მე ვერგებო, მან სთქვა, რომ პატრონმა დიმილით მითხრა, ჩვენი მთავრობა მათ სდევნის ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედობს წაღიით და ბოლშევიკებს მოსთხოვეთ ფულით და პროლეტარიატის თავისუფლებაცია“.

ის მშვიტი, ტიტული წავიდა იქ, სადაც განხორციელდა იყო რაც იმას სწავია და რის განხორციელდისათვის სასტიკათ იბრძოდა აქ.

ამგვარი მოვლენები არა იშვიათია. ჩვენ განვიცდით ყოველნაირ უსამართლობას ბოროტებას, შეუჩერებელი დევნას. რეპრესიები მატულობს და მატულობს, ამხანაგებს იპყრობენ და უსამრბენ საშუალებას მუშაობისას.

ჩვენ, დარჩენილებმა, კარგათ უნდა შევიგნოთ და გავითვალისწინოთ ეს თავხედობა. დეე, ჩვენ და ჩვენი თანამოაზრენი ვიტანჯით. მაგრამ მდგარმა თავის პისტეტზე ვიცოდენ, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს ისტორიული წინააღმდეგობა, პროლეტარიატის გამარჯვება. ჩვენ კარგათ ვავსოვს ჩვენი დიდებული მასწავლებლის კ. მარქსის სიტყვები: „გლახა მხარე ისტორიისა ქმნის ისტორიას“.

P. S. ეს წერილი უკვე დაწერილი იყო, როდესაც მე მამქსეს კიდევ გაძეგებაზე და თავდასხმაზე ჩვენს წევრებზე ამ გავლელ კვირაში.

გადასახლეს სულ უბრალოთ ერთი აქტიური წევრი მუშა-მუშად; მას დაეცენ ბინაზე და სამ დღეში უბრძანეს დეტორეგებია თვითისი.

არა ნაკლები აღმამოთვებელი მოვლენა არის მოწყობების დაქერა თვით სასწავლებლის შენობაში. ეს მთლიათ დაცემული მიდიან სკოლაში და და სხვა და სხვა საშუალებით სცილილბენ ათქმევიონ ჩვენი თანამოაზრების ჯგარები და ბინები.

ბ. ს.

ცეცხლში და ქარიზხალში, სისხლში და ცრემლში, შიმშილში და აუტანელ ტანჯვაში იზადება ახალი ქვეყანა, ბრწყინვალე ქვეყანა მშრომელთა; მობა, ერთობა, სოლიდარობისა.

**ჩვენ პავშირში**

ს. კ. ე. ლანჩხუთი.

რევოლუციის შედეგ ლანჩხუთის ახალგაზრდობამ შექმნა სხვა და სხვა ორგანიზაციები. თავისი რწმენის მიხედვით ახალგაზრდობა დაირაზმა ახალგაზრდ. მარქს., ახალგ. ფედერალისტთა ორგანიზაციებში. კომუნისტური ორგანიზაცია თავიდან არ ყოფილა. დიდი ხალი ეტყობოდა მაშინდელ მუშაობას, იმართებოდა ლექცია-რევერტები და მათ ყოველთვის მოყვებოდა ცხარე კამათი.

მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო დაცემის ხანა. ახალგაზრ. კომუნისტებმა შექმნეს თავისი ორგანიზაცია, სხვა ორგანიზაციებში კი მუშაობა ჩაკვდა. ეს ასეც უნდა მოხდარიყო. ზემის და აღფრთოვანების ხანამ გაწვლა. საჭირო იყო ახალგაზრდულე გატაცებით საქმეზე გადასვლა. მაგრამ შინაარსით ვერ შეხდებოდნენ და ამიტომ ზედ-მეტე გახდა მათი ორგანიზაციები. მოსაგონრათ დარჩა მღელვარე ცხოვრება ლანჩხუთის ახალგაზრდობისა, გაცხარებული კამათი და პარტიული ბრძოლა. ამ დროს ასპარეზე გამოვიდა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია. ის იკრებს, კავშირს კრავს სოფლის დარბ ახალგაზრდობასთან. ამ ზაფხულში ლანჩხუთის კომუნ. ახალგაზრ. ორგანიზ. იკრებს თავისი დაქობა სურვილი, ჩვენთან ერთად ბრძოლისა. ეს ასეც არის.

**წევრი.**

18 სექტემბერს შესდგა ახალგაზ. მუშათა და გლეხთა კომ. კავშირის გურიის კომიტეტის კრება, კრებას დაესწრო წარმომადგენლები გურიის ყველა კუთხიდან. გასარჩევი ქონდა შემდეგი კითხვები: 1. მოხსენება ადგილობრივად, 2. პასუხისმგებელი კორ. არჩევა, 3. მისაღება აღმოსავლეთის ახალ ყრილობას, 4. პროტესტი სომხეთის მთავრობას.

მოსხენებას აკეთებენ ყველა რაიონების წარმომადგენლები, საიდანაც ირკვევა რომ მიუხედავათ რეპრესიების სწარმოებას სისტემატურათ მეცადინეობა სხვა და სხვა მარქსისტულ და თანამედროვე ბროშურებით. ეწერებთან ახალი წევრები; ასე რომ დიდი თანაგრძობა აქვს მოპოვებული ჩვენს ორგანიზაციებს. პასუხისმგებელ კორესპონდენტათ არჩეული იქნა აზნ. კ. ლ. მელსაც დაგვალა უგზავნის წერილები რედაქციას სისტემატურათ. გურიის კომუნისტური ახალგაზრდობა ესალმება აღმოსავლეთის კომ. ახალ ყრილობას, უსურვებს ენერგიულს და აქტიურ მუშაობას აღმოსავლეთის ახალგაზრდობის განთავისუფლებას მსოფლიო რეპტიის კვანჭებისა და უსურვებს ერთხელ აწეული წითელი დროშა ამაყათ და მედიდურათ მიეტანოს აღთქმულ ქვეყნის კარებამდე.

იმჯგელა რა გურ. კომიტეტმა სომხეთის ჯალათურ მთავრობის მოქმედებაზე გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: ჩვენ გურიის მშრომელი ახალგაზრდობა აღმოსავლეთის ასეთი მხეცური მოქმედებით სასტიკ პროტესტს და ზიზს ვუცხადებთ სომხეთის ჯალათურ-რეპტიონურ მთავრობას და მოვითხოვეთ დაუყოვნებლივ შეჩერებული იქნას ეს უმაგალითო ხოცვა ქლქვა, თვითი ტერორი და ყოველგვარი შევიწროება კომუნისტებისა.

**კოლეგონოზა.**

**ხაშური.**

არ შეიძლება ოდნავი ყურადღების დიხსი არ გავხადოთ ახალგაზრდობა აქაური, როგორც დეპოსი ისე გლეხობის, რომელთათვის არავითარი კულტურული განათობები და დაწყებულბებები არ არსებობს, როგორც არის სახალხო უნივერსიტეტი, იაფ ფასიანი და უფასო წარმოდგენები, გარდა შემოსავლიანი წარმოდგენებისა და საღამოებისა, რომლებიც იმართება ათასში ერთხელ აუქციონებით და ბუფეტებით, რომელიც დიდ შემოსავლს იძლევა, ხოლო ზნებრივათ ვარყენა გათასირების მეტი არაფერი მოაქვს ახალგაზრდობისათვის.

მთელი ზაფხულის განმავლობაში მხოლოთ თუ ვაპრატეს ორი თუ სამი ლექცია. საყურადღებო დამუშენებელი კრების წევრის ქნ იმნიშვლის ლექცია, რომლის თემა იყო შემდეგი: „კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში“, სადაც ბალშევიკების ლანჩხუ-გინების მეტი არაფერი არ უთქვამს ახალი, რაც

თითქმის ჩვეულებათ აქვს გადაქცეული, ქნ იმნიშვლის.

**ხაშურელი სპარტაკელი.**

**სასვლარ-გარეთ.**

**რუმინეთში.**

ახალგაზრდობის რუმინეთის ორგანიზაცია ჯერ დაკავშირებულია სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. რეპტიის სუსტი იძლევის პარტიის განმანათლებელ მუშაობის გარდა ახალგაზრდობას უწლება მისცეს მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ ბრძოლაში.

ამ მოვლენას მოაქვს პარტიისათვის სამუშაო შედეგები: სახელმძღვანელო, რომ ახალგაზრდობა მოითხოვს და ატრებს ცხოვრებაში მემარტენე რევოლუციონერ ტაქტიკას.

ეს მკიდრო კავშირი პარტიასთან შესაძლებლად ხდის პარტიის გამმარტენებას. წევრთა რიცხვის 6.000 აღემატება. ვახეთი გამოდის ორ კვირაში ერთხელ 4.000 ექვმპლიარი.

**ჭუნგრეთი.**

უწგრეთში ახალგაზრდობის მოძრაობა განვითარდა ომის დროს. მეურნეობას დაცემამ და პოლიტიკურ რეჟიმმა ხელი შეუწყო ახალგაზრდობის გარეოლუციონერებას.

ორგანიზაცია შესამჩნევლად განვითარდა და მიმართულია წინააღმდეგ შემთხმემელთა: სოციალ-დემოკრატიულ პარტიის და პროფესიონალურ კავშირის წინააღმდეგ.

თავისუფალი მუშაობის საშუალება და შესაძლებლობა მისცა 1918 წლის ოქტომბრის რევოლუციამ.

ბუდაპეშტში, მასიურ ყრილობაზე და არსდა საერთო-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთებდა 20.000 წევრს. მთელი ორგანიზაცია შეუქმნდა ახალგაზრდობის რუმინეთის კომუნისტურ პარტიას. წევრთა რიცხვი გაიზარდა 120.000 მდე. ფართო მუშაობა ახალგაზრდობის აღზრდისათვის და მეტორეოლანთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გახსნილ იქნა საბჭოთა სალ-უფლების დროს.

კონტრ-რევოლუციის გამარჯვებასთან დაკავშირებით, თითქმის ყველა მიმართებით და ბევრი წევრები იჩიერებული იყვენ გაქეულიყვენ; ბევრი დაატუსაღეს და დახვრიტეს.

ესლა მოძრაობა ვითარდება და სწრაფად იზრდება.

**ბულგარეთი.**

1920 წლის 30 მაისში სოფიაში შესდგა ბულგარეთის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების ნაციონალურ კონგრესი, რომელმაც ერთხმად გადასწყვიტა შეუერთდეს ბერლინის კონგრესის რეზოლუციას, რომელიც დვას კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმაზე. ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა გადასწყვიტა შეეერთდეს კომუნისტურ ორგანიზაციას.

**ისპანია.**

ისპანიაში ახალგაზრდობის ორგანიზაციამ შექმნა კომუნისტური პარტია. ცენტრალურ კომიტეტმა გამოუშვა მას ფესტი, სადაც აღნიშნულია სოციალისტური პარტიის დარღვევა და ახალი კომუნისტურის შექმნის აუცილებლობა და საჭიროება. მანიფესტში ჩამოთვლილი კომუნისტური პარტიის დებულებანი: 1) მესამე ინტერნაციონალის ცნობა და მასში შესვლა. 2) ბრძოლა მიმდინარეობა „ცენტრის“ წინააღმდეგ. 3) ბრძოლა მონოლიტარზმის წინააღმდეგ. 4) სოციალური რევოლუციის პროპაგანდა. 5) მონაწილეობა პოლიტიკურ ბრძოლაში; პარტამენტში რევოლუციონური აგიტაციის ოპორტუნისტური. 6) ყოველ ბურჟუაზიულ პარტიებთან და ქვეყნიდან თანამშრომლობის უარყოფა.

7) ბრძოლა ისპანიის სოციალისტური პარტიის რეჟიმისწინააღმდეგ. 8) მისწრაფება პროლეტარიატის დიქტატურისაკენ და საბჭოებისაკენ, როგორც მისი ფორმისაკენ. ახალგაზრდა კომუნისტები ეწვეიან მუშაობას ანატოლიის და კოსტანტინოპოლის რევოლუციონური აგიტაციის გლეხობაში; აგრეთვე ქმნიან კომუნისტურ ორგანიზაციებს ფაბრიკა ქარხნებში ახალგაზრდობაში.

გმხადებენ ისპანიის კომუნისტურ მთლიათ ყრილობისათვის.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.